„დამტკიცებულია“
საქართველოს ნოტარიუსთა პალატის საერთო კრების
2026 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წესდება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სამართლებრივი სტატუსი და საქმიანობის საფუძვლები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ნოტარიუსთა პალატა (შემდგომ – პალატა) არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი, ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ლათინური ნოტარიატის პრინციპებისა და ამ წესდების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს საქართველოში სამართლის უზენაესობის განმტკიცებას, სამართლებრივ უსაფრთხოებას, ნოტარიუსის პროფესიის განვითარებასა და დამოუკიდებლობას.
2. პალატა თავის უფლებებს და ვალდებულებებს აღასრულებს და მოქმედებს კანონიერების, საჯაროობისა და თვითმმართველობის პრინციპების გათვალისწინებით.
3. პალატა შექმნილია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 3 მაისის №210–IIს კანონის საფუძველზე.
4. პალატის სრული სახელწოდებაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, ინგლისურად Notary Chamber of Georgia.
5. პალატის საქმისწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე.
6. პალატას შეუძლია ჰქონდეს დროშა, ჰიმნი, ემბლემა, ბეჭედი, საბანკო ანგარიშები და საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის აუცილებელი სხვა რეკვიზიტები.
7. პალატის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №60. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პალატის წარმომადგენლობის ადგილსამყოფელია ქალაქი ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №7.
8. პალატის საიდენტიფიკაციო კოდია: 203840656.

თავი II. პალატის მიზნები და უფლებამოსილება

მუხლი 2. პალატის მიზნები

პალატის მიზნებია:

ა) ნოტარიატის ფუნდამენტური პრინციპების, კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების, აგრეთვე სანოტარო ეთიკის დაცვა;

ბ) ნოტარიატის, როგორც პრევენციული მართლმსაჯულების ინსტიტუტის განვითარება;

გ) სანოტარო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელება და ნოტარიუსის პროფესიის განვითარება;

დ) ნოტარიატის ინტერესების დაცვა და წარმოდგენა საერთაშორისო ორგანიზაციებში, სხვა სახელმწიფოებთან, საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოში/საარბიტრაჟო წარმოებაში, ნებისმიერ საჯარო და/ან კერძო დაწესებულებაში;
ე) პალატის აპარატისა და ტერიტორიული წარმომადგენლობის (შემდგომ – წარმომადგენლობა) შექმნა და განვითარება;
ვ) ერთგვაროვანი სანოტარო პრაქტიკის უნიფიკაციის მიზნით სანოტარო მოქმედებების განზოგადება;
ზ) სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
თ) საზოგადოებაში ნოტარიუსისადმი ნდობისა და რეპუტაციის განმტკიცება.

მუხლი 3. პალატის უფლებამოსილება

პალატა უფლებამოსილია:
ა) ხელი შეუწყოს ნოტარიუსთა თვითმმართველობის განხორციელებას და ნოტარიუსების საქმიანობის კოორდინაციას;
ბ) სამინისტროს წარუდგინოს წინადადებები პალატის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების სრულყოფის მიზნით;
გ) ნოტარიუსებისაგან მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია და მოისმინოს მათი განმარტებები;
დ) დაადგინოს ნოტარიუსების სავალდებულო გადასახდელები პალატისთვის;
ე) სანოტარო საქმიანობის სრულყოფისა და ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრებისათვის განაზოგადოს სანოტარო პრაქტიკა და შეიმუშაოს რეკომენდაციები;
ვ) კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზება გაუწიოს ნოტარიუსთა/შემცვლელ პირთა, ნოტარიუსის თანაშემწეობის კანდიდატთა, პალატისა და სანოტარო ბიუროს თანამშრომელთა სავალდებულო სამართლებრივ სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, ნოტარიუსობის კანდიდატთა სტაჟირებას;
ზ) აწარმოოს ანალიტიკური, სტატისტიკური და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ნოტარიატთან დაკავშირებულ საკითხებზე;
თ) ფინანსური დახმარება გაუწიოს ნოტარიუსებს და ნოტარიატის სისტემაში დასაქმებულ პირებს;
ი) უზრუნველყოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზების, საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემების გამართული ფუნქციონირება;
კ) უზრუნველყოს ნოტარიუსთა, ნოტარიუსის შემცვლელ პირთა, ნოტარიუსის თანაშემწეობის კანდიდატთა, სტაჟიორთა, სანოტარო ბიუროებისა და მონაცემთა სხვა ბაზების შექმნა და განახლება;
ლ) უზრუნველყოს ნოტარიუსთა მიერ სანოტარო საქმიანობის პროცესში დამოწმებული დოკუმენტების პალატის არქივში შენახვა და ხელმისაწვდომობა;
მ) შეამოწმოს ნოტარიუსის საქმიანობა და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედებების რეგისტრაცია;
ნ) დაამტკიცოს ნოტარიუსის საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა;
ო) კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;
პ) გააანალიზოს ნოტარიატისა და კერძო სამართლის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობა და მოამზადოს წინადადებები ჰარმონიზაციის მიზნით;
ჟ) დაამკვიდროს დოკუმენტბრუნვის (მათ შორის, საიდუმლო საქმისწარმოების) და საქმისწარმოების ერთიანი წესი;
რ) საწესდებო მიზნების განსახორციელებლად დააფუძნოს სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები;

ს) განახორციელოს კომერციული საქმიანობა თავისი საწესდებო მიზნების შესასრულებლად;
ტ) განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისი ნებისმიერი საქმიანობა, რაც დაკავშირებულია მისი მიზნებისა და უფლებამოსილებების განხორციელებასთან.

მუხლი 4. პალატის ურთიერთობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან

1. პალატის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს სამინისტრო. პალატა ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებითა და ამ წესდებით დადგენილი წესით.
2. საქართველოს იუსტიციის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი) უფლებამოსილია შეიტანოს შესწორებები პალატის გადაწყვეტილებაში, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

თავი III. პალატის წევრობა

მუხლი 5. პალატის წევრობა

1. პირი პალატის წევრი ხდება ნოტარიუსად დანიშვნისთანავე.
2. პალატის წევრს უფლებამოსილება უწყდება ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლებისთანავე.
3. ახლად დანიშნული ნოტარიუსი პალატის წევრთა საერთო კრებაზე (შემდგომ – საერთო კრება) დებს ფიცს, რომლის ტექსტს ამტკიცებს პალატის გამგეობა (შემდგომ – გამგეობა).

მუხლი 6. პალატის წევრის უფლება-მოვალეობები

1. პალატის წევრი უფლებამოსილია:
ა) მონაწილეობა მიიღოს პალატის საქმიანობაში და საერთო კრების მუშაობაში;
ბ) მონაწილეობა მიიღოს პალატის მიერ ორგანიზებული პროექტების შემუშავებასა და განხილვაში;
გ) გაეცნოს გამგეობისა და კომისიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
დ) მიიღოს ინფორმაცია პალატის საქმიანობის შესახებ;
ე) გაასაჩივროს საერთო კრებისა და გამგეობის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ვ) ისარგებლოს სხვა უფლებებით, რაც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების მოთხოვნებიდან.
2. პალატის წევრი ვალდებულია:
ა) ხელი შეუწყოს პალატის მიზნებისა და ფუნქციების ეფექტიანად შესრულებას;
ბ) დადგენილი წესის შესაბამისად გადაიხადოს ყველა სავალდებულო გადასახდელი;
გ) მიაწოდოს პალატას მოთხოვნილი ინფორმაცია;
დ) გაიაროს პალატის მიერ ორგანიზებული სწავლებები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
ე) ჩაერთოს და საქმისწარმოება განახორციელოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში;
ვ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები.

თავი IV. პალატის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 7. პალატის სტრუქტურა

1. პალატის საქმიანობა ხორციელდება საერთო კრების, გამგეობის, კომისიების, გამგეობის აპარატისა და წარმომადგენლობების მეშვეობით.
2. პალატის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება.
3. პალატის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა გამგეობა.

4. პალატაში იქმნება:
ა) საფინანსო-სარევიზიო კომისია;
ბ) დისციპლინური კომისია.

მუხლი 8. საერთო კრების კომპეტენცია

1. საერთო კრება არის პალატის მმართველობის უმაღლესი ორგანო. საერთო კრება უფლებამოსილია დღის წესრიგში შეიტანოს და გადაწყვიტოს პალატის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხი.
2. მხოლოდ საერთო კრება არის უფლებამოსილი გადაწყვეტილება მიიღოს შემდეგ საკითხებზე:
ა) წესდების მიღება და მასში ცვლილების შეტანა;
ბ) პალატის წლიური ანგარიშის დამტკიცება;
გ) პალატისთვის ნოტარიუსების სავალდებულო გადასახდელების დადგენა;
დ) გამგეობის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, გამგეობის წევრებისა და კომისიების წევრების არჩევა;
ე) გამგეობის წარდგინებით მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტისა და გასული წლის ბალანსის დამტკიცება;
ვ) საქართველოს ნოტარიუსთა დეონტოლოგიის (ეთიკის) კოდექსის დამტკიცება;
ზ) საწესდებო მიზნების განსახორციელებლად სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნება;
თ) საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვა.
3. საერთო კრება ტარდება ღია ან ფარული კენჭისყრით. საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი.

მუხლი 9. საერთო კრების მოწვევა და გადაწყვეტილების მიღება

1. საერთო კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის იანვარში.
2. საერთო კრებას იწვევს გამგეობა, რომელიც პალატის წევრებს კრების ჩატარებამდე ორი კვირით ადრე ელექტრონული ფორმით ან/და პალატის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებით აცნობებს კრების ჩატარების დროს, ადგილს და დღის წესრიგს. დღის წესრიგში განსახილველი საკითხის დამატება შესაძლებელია ამ წესდებით დადგენილი წესით, საერთო კრების ჩატარებამდე არა უგვიანეს 3 სამუშაო დღით ადრე, ნოტარიუსთა საერთო რაოდენობის ერთი მეხუთედის ინიციატივით.
3. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა:
ა) მინისტრის წინადადებით;
ბ) გამგეობის ინიციატივით;
გ) პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ერთი მეხუთედის მოთხოვნით.
4. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით. რიგგარეშე კრების ჩატარების თარიღს, ადგილსა და დღის წესრიგს რიგგარეშე კრების ჩატარების შესახებ მოთხოვნის/წინადადების გამგეობისათვის წარდგენიდან ორი კვირის ვადაში განსაზღვრავს გამგეობა. გამგეობა ვალდებულია დღის წესრიგში შეიტანოს ის საკითხი, რომლის განსახილველადაც ინიცირებულია რიგგარეშე კრების მოწვევა. რიგგარეშე კრება უნდა ჩატარდეს მისი ჩატარების მოთხოვნის/წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში. ამ პუნქტით განსაზღვრული ვადების გამგეობის მიერ დარღვევის შემთხვევაში, კრება მოიწვევა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მომთხოვნის/წინადადების წარმდგენის მიერ, 60 დღიანი ვადის გასვლამდე. რიგგარეშე საერთო კრება ჩატარდება თბილისში, პალატის ოფიციალურ მისამართზე.

მუხლი 10. საერთო კრებაში მონაწილეობა

1. საერთო კრების მუშაობაში ნოტარიუსი მონაწილეობს პირადად ან წარმომადგენელი ნოტარიუსის მეშვეობით. წარმომადგენლობა ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით მომზადებული თანხმობის/სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. ნოტარიუსმა შეიძლება კრებაზე წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ნოტარიუსი.

2. ნოტარიუსი ვალდებულია, პალატას წერილობით დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის საშუალებით აცნობოს საერთო კრებაზე პირადად დაუსწრებლობის მიზეზი, საერთო კრების ჩატარებამდე არა უგვიანეს 1 სამუშაო დღით ადრე. გამონაკლისი წესით, შესაძლებელია აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით იმავე ვადაში.

3. ნოტარიუსის მიერ არასაპატიო მიზეზით საერთო კრებაზე დაუსწრებლობა შესაძლებელია გახდეს ნოტარიუსის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი.

მუხლი 11. საერთო კრების უფლებამოსილება

1. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. საერთო კრების უფლებამოსილების დასადგენად წევრებმა საერთო კრების დაწყებამდე უნდა გაიარონ რეგისტრაცია.

2. საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

3. თუ საერთო კრება არ არის უფლებამოსილი, საერთო კრების ჩატარებიდან 1 თვის ვადაში, იმავე დღის წესრიგით ტარდება განმეორებითი საერთო კრება.

მუხლი 12. საერთო კრების თავმჯდომარე. კრების ოქმი

1. საერთო კრებას თავმჯდომარეობს გამგეობის თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო ორივე მათგანის ერთდროულად არყოფნის შემთხვევაში – კრების მიერ არჩეული ნოტარიუსი.

2. საერთო კრებას ხსნის და უძღვება კრების თავმჯდომარე, რომელიც:

ა) აცხადებს კრებას გახსნილად, აცნობს წევრებს სხდომის რეგლამენტსა და დღის წესრიგს;

ბ) უძღვება საკითხის განხილვას, საკითხის შინაარსიდან გამომდინარე სიტყვას აძლევს და ჩამოართმევს გამომსვლელს;

გ) კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

დ) უზრუნველყოფს კრებაზე წესრიგის დაცვას;

ე) ახორციელებს წესდებით და შესაბამისი რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. კრებაზე საკითხი განიხილება დღის წესრიგით დადგენილი რიგითობის შესაბამისად. კრების მიმდინარეობისას ხორციელდება ვიდეო ან/და აუდიომონიტორინგი. კრებას შეიძლება დაესწრონ სტუმრის სტატუსის მქონე პირები. კრების გადაწყვეტილებით კრება ან მისი რომელიმე ნაწილი შეიძლება გამოცხადდეს დახურულად.

4. კრების მიმდინარეობის თაობაზე დგება კრების ოქმი. კრების ოქმს ადგენს კრების მდივანი, რომელიც აირჩევა კრების გახსნისთანავე. ოქმს ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და კრების მდივანი.

5. ვიდეო ან აუდიომონიტორინგიდან გამომდინარე ჩანაწერი პალატაში ინახება კრების ჩატარებიდან - 3 წლის განმავლობაში.

6. კრების თავმჯდომარე და მდივანი ვალდებულნი არიან კრების ჩატარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გამგეობას წარუდგინონ კრების ოქმი.

7. გამგეობა ვალდებულია ოქმის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მინისტრს წარუდგინოს კრების ოქმი.

თავი V. პალატის ორგანოების ფორმირების წესი

მუხლი 13. პალატის ორგანოების ფორმირების წესი

1. გამგეობისა და კომისიების (შემდგომ – პალატის ორგანოები) არჩევა ხდება 3 წლის ვადით, საერთო კრების დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, ხმის მიცემის ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

2. თუ კენჭისყრის პირველ ტურში პალატის ორგანოების სრული შემადგენლობა ვერ დაკომპლექტდა, იმავე საერთო კრებაზე იმართება კენჭისყრის მეორე ტური. „ხელახალი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, ვაკანტურ თანამდებობაზე არჩეული პირების შედეგები ძალაში რჩება. მეორე ტურში მონაწილეობას იღებენ პირველ ტურში მონაწილე ყველაზე მაღალი შედეგის მქონე კანდიდატები. მეორე ტურში ერთ ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატთა რაოდენობა ორს არ უნდა აღემატებოდეს. თუ ყველაზე მაღალი რაოდენობის ხმების მქონე კანდიდატების რაოდენობა მიღებულ ხმათა იდენტური რაოდენობის გამო ერთ ვაკანტურ პოზიციაზე ორს აღემატება, მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებს ერთნაირი შედეგების მქონე ყველა კანდიდატი.

3. თუ კენჭისყრის პირველი ან/და მეორე ტურის შემდეგ, ვერ შეივსო ვაკანტური ადგილები, ერთი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები. ხელახალი არჩევნებით არჩეული წევრების უფლებამოსილება გრძელდება პალატის შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების ვადით.

4. პალატის ორგანოების უფლებამოსილების ვადა იწყება სრული შემადგენლობის (თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, წევრები) უმრავლესობის არჩევის დღიდან.

5. პალატის ორგანოების წევრების (მათ შორის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და გამგეობის წევრები) უფლებამოსილების 3-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, მათი უფლებამოსილება ავტომატურად გრძელდება ახალი შემადგენლობის არჩევამდე.

6. ნოტარიუსი შესაძლებელია მხოლოდ პალატის ერთი ორგანოს წევრი იყოს. თუ ნოტარიუსი რომელიმე ორგანოს წევრია და მონაწილეობს არჩევნებში, არჩევის შემთხვევაში მას პირადი განცხადების საფუძველზე უწყდება უფლებამოსილება იმ ორგანოში, რომლის წევრიც არჩევამდე იყო.

მუხლი 14. გამგეობის თავმჯდომარის არჩევის წესი

გამგეობის თავმჯდომარის კანდიდატურას წარადგენს მინისტრი. თუ საერთო კრებამ მინისტრის მიერ გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ზედიზედ ორჯერ არ აირჩია, საერთო კრება ორი კვირის ვადაში ირჩევს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარეს.

მუხლი 15. პალატის ორგანოს წევრობის კანდიდატი

1. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრობის კანდიდატი ვალდებულია, საერთო კრების ჩატარებამდე არა უგვიანეს 1 სამუშაო დღისა პალატას წარუდგინოს განცხადება და სამოქმედო პროგრამა. კანდიდატურის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ ერთ ვაკანტურ პოზიციაზე. პალატა ვალდებულია მიღებული განცხადება დაუყოვნებლივ განათავსოს პალატის ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. პალატა უზრუნველყოფს კანდიდატის მიერ წარდგენილი განცხადებისა და სამოქმედო პროგრამის წესდებით დადგენილ ვადაში შეტანის გადამოწმებას და საარჩევნო ბიულეტენში კანდიდატი შეჰყავს განცხადებების წარდგენის რიგითობის გათვალისწინებით.

3. პირს უფლება აქვს მოხსნას საკუთარი კანდიდატურა კენჭისყრის დაწყებამდე. ამ შემთხვევაში კანდიდატი ამოღებულ იქნება საარჩევნო ბიულეტენიდან.

მუხლი 16. ხმის დამთვლელი კომისია

1. ხმების დასათვლელად საერთო კრება პალატის წევრთა შემადგენლობიდან ქმნის ხმის დამთვლელ კომისიას, რომელიც 5 წევრისგან შედგება.

2. დაუშვებელია ხმის დამთვლელი კომისიის მუშაობის პროცესში კომისიის არაწევრი პირის დასწრება. კომისიის მუშაობის პროცესის აუდიო და ვიდეო მონიტორინგი სავალდებულოა. მისი ჩანაწერის გაცნობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ ნოტარიუსს.

მუხლი 17. პალატის ორგანოების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და შეჩერება

1. პალატის ორგანოს წევრის სანოტარო საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში მას იმავე ვადით უჩერდება პალატის ორგანოების წევრობა. იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერების ვადა პალატის ორგანოების წევრობის უფლებამოსილების დარჩენილ ვადას აღემატება, ორგანოში მისი წევრობის უფლებამოსილება წყდება პალატის შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე.

2. პალატის ორგანოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება:

ა) ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში. უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველის წარმოშობისთანავე;

ბ) გადადგომის შემთხვევაში, რის თაობაზეც წერილობითი განცხადება წარედგინება პალატას. უფლებამოსილება შეწყვეტილად ჩაითვლება გადადგომის შესახებ განცხადების წარდგენის დღიდან ან განცხადებაში მითითებული თარიღიდან;

გ) თუ ის აღარ ახორციელებს სანოტარო საქმიანობას იმ რეგიონში/მუნიციპალიტეტში, რომლის მიხედვითაც იქნა საერთო კრების მიერ არჩეული გამგეობის წევრად.

3. გამგეობის თავმჯდომარე ვალდებულია, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ან/და გამგეობის წევრის ვაკანსიის წარმოშობიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადაში უზრუნველყოს საერთო კრების ჩატარება. გამგეობის თავმჯდომარის ახალი მოადგილე ან/და გამგეობის ახალი წევრი აირჩევა გამგეობის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

4. პალატის კომისიის წევრის ვაკანტური თანამდებობის შევსება ხდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 18. გამგეობისა და კომისიების სხდომაზე დასწრების წესი

1. გამგეობისა და კომისიების სხდომაზე დასწრება სავალდებულოა. გამგეობის/კომისიის წევრი ვალდებულია პირადად დაესწროს გამგეობის/კომისიის სხდომას და მონაწილეობა მიიღოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში.

2. გამგეობისა და კომისიის წევრებს სხდომაზე მონაწილეობა შეუძლიათ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, თუ ამისათვის არსებობს პატივსადები მიზეზი, რაც უნდა აღინიშნოს სხდომის ოქმში. ამ შემთხვევაში, ოქმს ამ წევრის ნაცვლად, მისივე თხოვნით, ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე წევრი.

თავი VI. გამგეობა

მუხლი 19. გამგეობა და მისი შემადგენლობა

1. გამგეობა არის პალატის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო.

2. გამგეობა შედგება გამგეობის თავმჯდომარის, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და წევრებისგან. გამგეობის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს კენტი და არ უნდა იყოს სამზე ნაკლები. გამგეობის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 20. გამგეობის კომპეტენცია

გამგეობა:

ა) წარმოადგენს საქართველოს ნოტარიატს, იცავს ნოტარიატისა და თითოეული ნოტარიუსის კანონიერ ინტერესებს, მათ შორის ნებისმიერ საჯარო ან/და კერძო დაწესებულებაში და სასამართლოში;

ბ) შეიმუშავებს წინადადებებს ნოტარიატის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის და წარუდგენს მათ მინისტრს;

გ) შეიმუშავებს ნოტარიუსთა დეონტოლოგიის (ეთიკის) კოდექსის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას;

დ) ზრუნავს ნოტარიუსთა, ნოტარიუსის შემცვლელ პირთა, ნოტარიუსის თანაშემწეობის კანდიდატთა, პალატისა და სანოტარო ბიუროს თანამშრომელთა სავალდებულო სამართლებრივ სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. წელიწადში არანაკლებ ორჯერ უზრუნველყოფს ნოტარიუსთა სავალდებულო სამართლებრივ სწავლებას;

ე) შეიმუშავებს პალატაში სტაჟირების გავლის წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრს;

ვ) ამტკიცებს გამგეობის აპარატის დებულებას და აპარატის საშტატო ნუსხას;

ზ) ზედამხედველობს გამგეობის აპარატის, წარმომადგენლობებისა და სტრუქტურული ერთეულების მუშაობას;

თ) ერთგვაროვანი სანოტარო პრაქტიკის დანერგვის მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს სანოტარო საქმიანობის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე;

ი) ქმნის დროებით კომისიებს/სამუშაო ჯგუფებს, რომელთა უფლებამოსილების ფარგლები და მუშაობის პრინციპები განისაზღვრება გამგეობის გადაწყვეტილებით;

კ) იღებს გადაწყვეტილებას ნოტარიუსის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების/არდაწყების შესახებ, დისციპლინური კომისიის დასკვნის საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნევს დისციპლინურ გადაცდომას და ნოტარიუსს უფარდებს დისციპლინურ სახდელს ან დადასტურებულად არ მიიჩნევს დისციპლინური გადაცდომის ფაქტს და წყვეტს დისციპლინურ წარმოებას. თუ საქმის განხილვისას დადგინდება, რომ ნოტარიუსის გადაცდომის სიმძიმის ხარისხის გამო პალატას არ აქვს დისციპლინური სახდელის შეფარდების უფლება, გამგეობა ვალდებულია დისციპლინური საქმისწარმოების მასალები გადაუგზავნოს მინისტრს;

ლ) ანიჭებს ნოტარიუსს „საპატიო ნოტარიუსის“ წოდებას, ხოლო სამინისტროს/პალატის სისტემის თანამშრომელს „ნოტარიუსთა პალატის საპატიო წევრის“ წოდებას სტაჟის ან/და ნოტარიატის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის;

მ) აწესებს პალატის სახელობის სტიპენდიას;

ნ) ასრულებს ამ წესდებით და კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს და უფლება- მოვალეობებს;

ო) იღებს გადაწყვეტილებას განაცდურის გაცემის თაობაზე პალატის ორგანოებში არჩეული იმ ნოტარიუსებისთვის, რომლებიც თავის ფუნქციებს ასრულებენ ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 21. გამგეობის თავმჯდომარე

1. გამგეობის თავმჯდომარე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) წარმოადგენს საქართველოს ნოტარიატსა და გამგეობას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში;

ბ) თავმჯდომარეობს საერთო კრებისა და გამგეობის სხდომებს;

გ) ხელმძღვანელობს საერთო კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებების შესრულებას;

დ) მართავს და განკარგავს პალატის კუთვნილ საბანკო ანგარიშებს;

ე) პალატის სახელით ურთიერთობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან;

ვ) ხელმძღვანელობს გამგეობის აპარატის საქმიანობას;

ზ) ახორციელებს ყველა სხვა საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია გამგეობის ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებასთან;
თ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას.
2. გამგეობის თავმჯდომარე უფლებამოსილია მოახდინოს ცალკეული უფლებამოსილების დელეგირება გამგეობის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებზე.
3. საგანგებო შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევა და დაყოვნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ნოტარიატის ინტერესებს, გამგეობის თავმჯდომარე უფლებამოსილია ერთპიროვნულად მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით. იგი ვალდებულია, ეს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარუდგინოს გამგეობას პირველივე სხდომაზე. თუ გამგეობამ არ დაამტკიცა თავმჯდომარის მიერ ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილება, პასუხისმგებლობა ეკისრება თავმჯდომარეს.
4. გამგეობის თავმჯდომარის არყოფნისას ან უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე. გამგეობის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ერთდროულად არყოფნის ან უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს გამგეობის უხუცესი წევრი.

მუხლი 22. გამგეობის სხდომა
1. გამგეობის სხდომა ტარდება არანაკლებ თვეში ერთხელ.
2. გამგეობის სხდომას წერილობითი ან ელექტრონული ფორმით, განსაზღვრული დღის წესრიგით იწვევს გამგეობის თავმჯდომარე. დღის წესრიგში ცვლილების შეტანა დასაშვებია გამგეობის სხდომის დაწყებამდე, დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.
3. გამგეობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გამგეობის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია გამგეობის თავმჯდომარის ხმა.
4. გამგეობის სხდომისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ გამგეობის თავმჯდომარე ან მისი დავალებით – გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ან გამგეობის ერთ-ერთი წევრი ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი. გამგეობის თავმჯდომარის, მისი მოადგილის ან/და ერთ-ერთი წევრის მოთხოვნით შესაძლებელია განხორციელდეს გამგეობის სხდომების აუდიო ან/და ვიდეომონიტორინგი, რომლის ჩანაწერიც პალატაში ოქმთან ერთად ინახება სხდომის ჩატარებიდან 3 წლის განმავლობაში.

მუხლი 23. გამგეობის აპარატი
1. პალატის მიმდინარე ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელების უზრუნველსაყოფად იქმნება გამგეობის აპარატი, რომლის თანამშრომლები არ არიან ნოტარიუსები.
2. აპარატის უფლებამოსილება და სტრუქტურა დგინდება აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გამგეობა. აპარატის საშტატო ნუსხას კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს გამგეობა.

თავი VII. პალატის ბიუჯეტი და ხარჯთაღრიცხვა

მუხლი 24. პალატის ბიუჯეტის ფორმირება და შემოსავლის წყაროები
1. პალატის შემოსავლების წყაროებია:
ა) ნოტარიუსების მიერ განხორციელებული საწევრო შენატანები;
ბ) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის საფასური;
გ) პალატის არქივიდან დოკუმენტის ასლისა და ამონაწერის გაცემის საფასური;

დ) გრანტით მიღებული ქონება და სახსრები;
ე) სესხით ან კრედიტით მოზიდული სახსრები;
ვ) პალატის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები;
ზ)საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;
თ) შემოსავლები, რომელთა მიღება არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.
2. პალატის ქონება გამოიყენება მხოლოდ პალატის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.
3. პალატა უფლებამოსილია ჰქონდეს ან/და შეიძინოს უძრავი/მოძრავი ქონება;
4. გრანტით მიღებული თანხები იხარჯება შესაბამისი პროექტის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

მუხლი 25. პალატის წევრთა გადასახდელები

1. პალატის ყველა წევრი ვალდებულია გადაიხადოს ყოველთვიური საწევრო შენატანის ერთიანი განაკვეთი (შემდგომ – საწევრო) ამ წესდებით დადგენილი წესით.
2. საწევროს განაკვეთია ნოტარიუსის საერთო შემოსავლის 2 პროცენტი. საწევრო გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის მიზნებისათვის საერთო შემოსავალში იგულისხმება თანხა, რომელიც ნოტარიუსმა მიიღო სანოტარო მოქმედებების შესრულებისათვის საზღაურის სახით, დამატებული ღირებულების გადასახადის, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასურისა და სანოტარო მოქმედებასთან დაკავშირებით სანოტარო მოქმედების მონაწილის მიერ ანაზღაურებული ხარჯების გამოკლებით.
3. ნოტარიუსი ვალდებულია ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე, პალატას გადაუხადოს საწევრო და სანოტარო მოქმედებათა ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში, თუ ნოტარიუსი 5 კალენდარული დღის ვადაში არ უზრუნველყოფს საწევროს ან/და სანოტარო მოქმედებათა ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასურის გადახდას, ნოტარიუსს შეუწყდება ელექტრონულ სანოტარო რეესტრთან წვდომა დავალიანების სრულად გადახდამდე.
4. არასაპატიო მიზეზით საწევროს ან/და პალატისთვის სხვა სავალდებულო გადასახდელის გადაუხდელობა ნოტარიუსის მიმართ შეიძლება გახდეს დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი.
5. ნოტარიუსი, რომელსაც შეუჩერდა უფლებამოსილება, არ იხდის საწევროს უფლებამოსილების შეჩერების ვადის განმავლობაში.
6. პალატა უფლებამოსილია შეამოწმოს ნოტარიუსის მიერ პალატაში სავალდებულო გადასახდელების გადახდის სისწორე და ამ მიზნით ნოტარიუსისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია.
7. ნოტარიუსის მიერ საწევროს ზედმეტი ოდენობით გადახდის შემთხვევაში ნოტარიუსი უფლებამოსილია დაიბრუნოს ზედმეტად გადახდილი თანხა ან ჩაითვალოს მომდევნო თვეების ანგარიშში.

მუხლი 26. პალატის ხარჯები

1. პალატის ხარჯებია:
ა) შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო, ჯილდო, სახელფასო დანამატი);
ბ) საქონელი და მომსახურება (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება, მივლინება, წარმომადგენლობითი ხარჯები, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის ხარჯები, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება და სხვა);
გ) სოციალური უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი ხარჯები;
დ) გრანტები (საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობისა და სხვა საწევრო გადასახადები;
ე) საქველმოქმედო და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი;
ვ) სხვა ხარჯი (სესხის, დაზღვევის, საგადასახადო ვალდებულებების, განაცდურისა და სხვა ხარჯები);
ზ) არაფინანსური აქტივების ზრდისთვის გაწეული ხარჯები.

2. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია პალატის ყოველწლიური ბიუჯეტის (შემდგომ – ბიუჯეტი) სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული თანხების კანონმდებლობით დადგენილი წესით გადანაწილება.
3. ნოტარიუსთა მივლინების ანაზღაურება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად.
4. პალატაში ინვენტარიზაციის ჩატარება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნორმატიული აქტისა და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისობის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 27. პალატის ბიუჯეტი
1. პალატის ყოველწლიური შემოსავლები და ხარჯები აისახება პალატის ბიუჯეტში.
2. ბიუჯეტის პროექტს ამზადებს გამგეობა, გამგეობის აპარატთან კოორდინაციით. გამგეობა ვალდებულია მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად გაუგზავნოს ნოტარიუსებს საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად.

მუხლი 28. ბიუჯეტის შედგენის ძირითადი კრიტერიუმები
1. ბიუჯეტში აუცილებლად უნდა აისახოს შემოსავლების სავარაუდო ოდენობა, რომლის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმია ნოტარიუსთა სავალდებულო გადასახდელების გადახდით მიღებული შემოსავლების ოდენობა.
2. ბიუჯეტით დაგეგმილი ხარჯების ოდენობა იგეგმება გონივრულობის ფარგლებში, წინა წლის შემოსავლების, ხარჯების და წლის დასაწყისში არსებული ნაშთის გათვალისწინებით.

მუხლი 29. ბიუჯეტის შესრულების დამტკიცება
1. ბიუჯეტის პროექტს ამტკიცებს საერთო კრება არა უგვიანეს ახალი საბიუჯეტო წლის 01 თებერვლისა. თუ აღნიშნულ ვადამდე ვერ დამტკიცდება ბიუჯეტი, ის დამტკიცდება განმეორებით ჩატარებულ საერთო კრებაზე.
2. ბიუჯეტის დამტკიცებამდე ხარჯები ფინანსდება არა უმეტეს გასული წლის ბიუჯეტით დადგენილი ოდენობით.
3. გამგეობა ვალდებულია საერთო კრებას წარუდგინოს ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

მუხლი 30. პასუხისმგებლობა ბიუჯეტის შესრულებაზე
1. პალატა საერთო კრების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის აუდიტორულ შემოწმებას ახდენს არაუგვიანეს 2 წელიწადში ერთხელ.
2. პალატის თანხების დანიშნულებისამებრ ხარჯვაზე პასუხისმგებელია გამგეობა.

თავი VIII. საფინანსო-სარევიზიო კომისია

მუხლი 31. საფინანსო-სარევიზიო კომისიის ფუნქციები
საფინანსო-სარევიზიო კომისია ამოწმებს პალატის ბიუჯეტის ხარჯვის შესაბამისობას გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან.

მუხლი 32. საფინანსო-სარევიზიო კომისიის არჩევის წესი და შემადგენლობა
1. საფინანსო-სარევიზიო კომისიას ირჩევს საერთო კრება 5 წევრის შემადგენლობით.

2. ახლად არჩეული საფინანსო-სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს საფინანსო-სარევიზიო კომისიის უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 33. საფინანსო-სარევიზიო კომისიის ვალდებულებები

საფინანსო-სარევიზიო კომისია ვალდებულია ყოველკვარტალურად შეამოწმოს გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კანონიერება და შესაბამისობა საერთო კრების მიერ დადგენილ ხარჯთაღრიცხვასთან (ბიუჯეტთან).

მუხლი 34. შემოწმების წესი და ფორმა

1. საფინანსო-სარევიზიო კომისია უფლებამოსილია გამგეობისაგან გამოითხოვოს გამგეობის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი, მათ შორის, საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაცია და მოითხოვოს ახსნა-განმარტებანი, როგორც გამგეობის წევრების, ისე აპარატის თანამშრომლებისაგან.
2. აუცილებლობის შემთხვევაში, საფინანსო-სარევიზიო კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს სპეციალისტი (აუდიტორი). სპეციალისტის (აუდიტორის) შრომა ანაზღაურდება პალატის ხარჯზე, გონივრულ ფარგლებში.

მუხლი 35. საფინანსო-სარევიზიო კომისიის სხდომა

1. საფინანსო-სარევიზიო კომისიის სხდომა იმართება არანაკლებ თვეში ერთხელ. სხდომას იწვევს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
2. თუ თავმჯდომარე სხდომას ამ მუხლით დადგენილ ვადებში არ მოიწვევს, საფინანსო-სარევიზიო კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს და ჩაატაროს სხდომა არანაკლებ 2 წევრის ინიციატივით.

მუხლი 36. გადაწყვეტილებათა მიღების წესი

1. საფინანსო-სარევიზიო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 3 წევრი მაინც.
2. გადაწყვეტილებები მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
3. საფინანსო-სარევიზიო კომისია უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილებების შესახებ აცნობოს გამგეობას.

მუხლი 37. საფინანსო-სარევიზიო კომისიის ანგარიშვალდებულება

1. საფინანსო-სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.
2. საფინანსო-სარევიზიო კომისია ვალდებულია ანგარიში წარუდგინოს საერთო კრებას.

თავი IX. დისციპლინური კომისია

მუხლი 38. პალატის დისციპლინური კომისიის ფუნქციები

პალატის დისციპლინური კომისიის ფუნქციაა განიხილოს საქართველოს კანონმდებლობისა და ნოტარიუსთა დეონტოლოგიის (ეთიკის) კოდექსის მოთხოვნათა დარღვევები.

მუხლი 39. დისციპლინური კომისიის შემადგენლობა

1. დისციპლინურ კომისიას ირჩევს საერთო კრება 5 წევრის შემადგენლობით.
2. ახლად არჩეული დისციპლინური კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს. დისციპლინური კომისია თავისი უფლებამოსილების განხორციელებას იწყებს დისციპლინური კომისიის უმრავლესობის არჩევის დღიდან.

მუხლი 40. დისციპლინური კომისიის სხდომა და გადაწყვეტილებათა მიღების წესი

1. დისციპლინური კომისიის სხდომა იმართება საჭიროებისამებრ. სხდომას იწვევს დისციპლინური კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მოადგილე). დისციპლინური კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

2. კომისია საქმის შესახებ ადგენს დასკვნას. დასკვნა მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. კომისიის დასკვნა წარედგინება გამგეობის თავმჯდომარეს.

თავი X. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 41. წესდებაში ცვლილების შეტანის წესი

1. წესდებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის ამ წესდებით დადგენილი წესით.

2. წესდებისა და მასში შესატანი ცვლილების პროექტს ამზადებს და წარადგენს გამგეობა ან პალატის წევრთა საერთო შემადგენლობის ერთი მეხუთედისაგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი.

3. წესდება და მასში შეტანილი ცვლილება ან მისი ნაწილი ძალაში შედის საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე, თუ საერთო კრების გადაწყვეტილებით არ დადგინდება მათი ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ძალაში შესული ცვლილება იმავე საერთო კრებაზე შეიძლება გახდეს დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის გადაწყვეტის საფუძველი.

მუხლი 42. პალატის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. პალატის ლიკვიდაცია შესაძლებელია მხოლოდ კანონით. პალატის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდეს.

2. პალატის ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის შემთხვევაში დარჩენილი ქონების განკარგვა ხორციელდება კანონით/საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 43. წესდების ძალაში შესვლა

1. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საერთო კრების მიერ 2018 წლის 27 იანვარს დამტკიცებული საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წესდება.

2. ეს წესდება ამოქმედდეს 2026 წლის 30 იანვრიდან.

კრების თავმჯდომარე

კრების მდივანი